საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1784 2022 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტისთვის თავდაცვის ძალების რაოდენობის დასამტკიცებლად წარდგენისა და აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ძ[4]“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინოს თავდაცვის ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი) და 2023 წელს განისაზღვროს არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) პირი; მათგან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსი – არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) პირი. აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდეს საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე, თავდაცვის ძალების

სარეზერვო სამსახურში გასაწვევი პირების რაოდენობაზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებულ დროებით შტატებზე.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე - გრიგოლ გიორგაძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**